დადგენილება:**დ-87. 8724038001**
თარიღი:**07/02/2024**

დადგენილება №5

„ახმეტის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ახმეტის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №38 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 29/12/2023, სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.162.016641) შეტანილ იქნას ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„

„დანართი №1

ახმეტის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სია

N	სახელწოდება ქართულად	სახელწოდება ლათინურად
1	იფანი მახვილნაყოფა	Fraxinus oxycarpa
2	იფანი ჩვეულებრივი	Fraxinus excelsior
3	იფანი გრძელფოთოლა	Fraxinus coriariaefolia
4	აკაკი კავკასიური	Celtis caucasica
5	აკაკი სამხრეთული	Celtis australis
6	ცაცხვი კავკასიური	Tilia caucasica
7	ცაცხვი გულფოთოლა	Tilia cordata
8	ცაცხვი უნგრული	Tilia tomentosa
9	ნეკერჩხალი მინდვრის	Acer campestre
10	დიადი ბოყვი	Acer velutinum
11	ნეკერჩხალი „შაქრის“	Acer saccharum
12	ნეკერჩხალი ვერცხლისფერი	Acer saccharinum
13	ნეკერჩხალი ქართული	Acer ibericum
14	კვიდო ხედ ფორმირებული	Ligustrum japonicum
15	სოფორა იაპონური ნამყენი „მტირალა“ ფორმა	Sophora japonica “pendula”
16	დეკორატიული მაჟალო	Malus floribunda/Malus coccinella

17	წითელი ტყემალი	Prunus cerasifera “pisardii”
18	არღავანი (იუდას ხე)	Cercis siliquastrum
19	ამბრის ხე	Liquidambar styraciflua
20	გინკო ბილობა	Gingko biloba
21	მელია	Melia azedarach
22	ფშატი	Elaeagnus angustifolia
23	ქართული მუხა	Quercus iberica
24	ქვამუხა (მარადმწვანე მუხა)	Quercus ilex
25	ზეთისხილის ხე	Olea europaea
26	ალბიცია (ლენქორანული „აკაცია“)	Albizzia julibrissin
27	ცხენისწაბლი	Aesculus sp. / Aesculus hippocastanum
28	საკმლის ხე (საღსაღაჯი)	Pistacia mutica
29	ირმის რქა	Lagerstroeeeia indica
30	ქართული ნუში	Prunus (Amigdalus) iberica
31	პანტა კავკასიური	Pyrus caucasica
32	მაჟალო	Malus orientalis
33	მტირალა ტირიფი	Salix babylonica
34	თუთუბო	Rhus coriaria
35	კოწახური ჩვეულებრივი	Berberis vulgaris
36	ბერყენა	Pyrus salicifolia
37	ბროწეული	Punica granatum
	წიწვოვანი ხეები	
N	**ქართული დასახელება**	**ლათინური დასახელება**
1	კვიპაროსი მარადმწვანე პირამიდალური	Cupressus sempervirens “Pyramidalis”
2	კვიპაროსი მარადმწვანე ჰორიზონტალური	Cupressus sempervirens var. horizontalis
3	არიზონული კვიპაროსი	Cupressus arizonica
4	ლეილანდიის კვიპაროსი	Cupressus leylandi
5	ტოსკანური კიპაროსი	Cupressus sempervirensis
6	ჰიმალაური კედარი	Cedrus deodara
7	ატლასის კედარი	Cedrus atlantica
8	ელდარის ფიჭვი	Pinus eldarica
9	შავი ფიჭვი	Pinus nigra
10	იტალიური ფიჭვი	Pinus pinea
11	უთხოვარი	Taxus baccata
12	ვერცხლისფერი ნაძვი	Picea pungens Glauca
13	ესპანური სოჭი	Abies pinsapo
	ფოთლოვანი ბუჩქები	
N	**ქართული დასახელება**	**ლათინური დასახელება**
1	ირმის რქა ბუჩქად ფორმირებული	Lagerstroemia indica
2	აბელია დიდფოთოლა	Abelia grandiflora
3	ბუდლეა	Budleja davidii
4	ჩვეულებრივი ბზა	Buxus sempervirens
5	იაპონური ფშატი	Elaeagnus x ebbingei “limelight”
6	ფოტინია	Photinia x fraseri “Red Robin”
7	სურნელოვანი ძახველი	Vibrunum tinus
8	მარადმწვანე, პრიალაფოთოლა ძახველი	Vibrunum lucidium
9	ცხრატყავა (სხვადასხვა სახეობები)	Lonicera nitida / iberica/ caucasica
10	ჩიტავაშლა (სხვადასხვა სახეობები)	Pyracantha coccinea / integerrima / melanocarpa
11	ჭყორი	Ilex x meservae “Blue Princess”
12	ჭყორი ჭრელფოთოლა	Ilex aquifolium “Argentea Marginata”
13	ფიტოსპორუმი წვრილფოთოლა	Pittosporum tobira “Nana”
14	იაპონური კვიდო	Ligustrum japonicum
15	კვიდო ჭრელფოთოლა	Ligustrum lucidium “variegate”
16	სირიული ვარდი	Hibiscus syriacus
17	ოლეანდრა	Nerium oleander
18	იუკა	Yucca gloriosa
19	ვარდი - (სხვადასხვა ჯიში)	Rosa sp.
20	ნანდინა (სხვადასხვა სახეობა)	Nandina domestica
21	ჭანჭყატი იაპონური (სხვადასხვა სახეობა)	Euonymus japonicus

22	დეკორატიული კოწახური (სხვადასხვა ფორმა)	Berberis sp.
23	იალღუნი (თამარიქსი)	Tamarix hohenackeri/ Tamarix gallica/ Tamarix tetrandra
24	თრიმლი	Cotinus coggygria
25	გრალკა (სხვადასხვა ფორმა)	Spiraea sp./Spiraea hypericifolia
26	ჰორტენზია	Hydarngea macrophylla
ხვიარა ბუჩქები და მრავალწლიანი ბალახები		
N	**ქართული დასახელება**	**ლათინური დასახელება**
1	გლიცინია	Wisteria sinesis
2	ტეკომა	Tecoma capensis
3	უსურვაზი	Parthenocissus sp.
4	ცხრატყავა	Lonicera caprifolium
5	წვრილფოთოლა სურო	Hedera helix
6	კატაბარდა	Clematis sp.
7	ლავანდა	Lavanluda angustifolia
8	როზმარინი	Rosmarinus officinalis
9	წივანა	Festuca sp.
წიწვოვანი ბუჩქები		
1	ტუია ნანა-ოქროსფერი	Thuja orientalis “Aurea Nana”
2	ტუია სმარაგდი	Thuja occidentalis “Smaragd”
3	ტუია ბრაბანტი	Thuja occidentalis “Brabant”
4	ტუია	Thuja occidentalis “Yellow Robbin”
5	ღვია გართხმული	Juniperus x pfitzeriana “Mordigan Gold”
6	ღვია გართხმული	Juniperus x media “Mint Julep”
7	ღვია გართხმული	Juniperus x horizontalis
8	ღვია „კაზაკური“	Juniperus x sabina
9	ღვია „მყრალი“	Juniperus x foetidissima
10	ჯუჯა ფიჭვი	Pinus mugo pumilio
11	ჯუჯა ფიჭვი	Pinus mugo mugus
12	ჯუჯა ნაძვი	Picea glauca conica / globosa
13	უთხოვარის ბუჩქი	Taxus baccata“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

განმარტებითი ბარათი

„ახმეტის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია ნორმატიული აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ნორმატიული აქტის პროექტის მიღების მიზეზი:

ნორმატიული აქტის პროექტის მიღების მიზეზი არის დადგენილებაში არსებული ტექნიკური ხარვეზი, რომელიც საჭიროებს ჩასწორებას. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ N38 დადგენილების სამართლებრივი ექსპერტიზის შედეგად დადგინდა, რომ N1 დანართში შეტანილია ისეთი მცენარეები (მაგ: ნეკერჩხალი მაღალმთის, ნეკერჩხალი ქორაფი და ლეკა, მაღალმთის მუხა, კოლხური მუხა, კავკასიური ფიჭვი,კავკასიური სოჭი, ძელქვა, მაგნოლია, არყის ხე, ერთფერა სოჭი, ზღვისპირა ფიჭვი, ჰალეპოს ფიჭვი, აღმოსავლური ჭადარი, პალმისებური ნეკერჩხალი, იაპონური ნეკერჩხალი, იაპონური აუკუბა, მანდარინი, ინდური როდოდენდრონი და ა.შ.), რომლებიც არ არის გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის N513 განკარგულებით.

ა.ბ) ნორმატიული აქტის პროექტის მიზანი

ნორმატიული აქტის პროექტის მიზანია დადგენილებაში არსებული ტექნიკური ხარვეზის გასწორება.

ა.გ) ნორმატიული აქტის პროექტის ძირითადი არსი:

ნორმატიული აქტის პროექტი შედგება 2 მუხლისგან. პირველი მუხლის მიხედვით ახლებურად ჩამოყალიბდება N38 დადგენილებით დამტკიცებული N1 დანართი, რომელიც სრულად იქნება საქართველოს მთავრობის 2023 წლის 13 მარტის N513 განკარგულებასთან შესაბამისობაში. მეორე მუხლის მიხედვით დადგენილება ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

ბ) ნორმატიული აქტის პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) ნორმატიული აქტის პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გაღებას <u>ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.</u>

ბ.ბ) ნორმატიული აქტის პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

ნორმატიული აქტის პროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას <u>**ახმეტის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.**</u>

ბ.გ) ნორმატიული აქტის პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

ნორმატიული აქტის პროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს **ახმეტის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.**

გ) ნორმატიული აქტის პროექტის ავტორი და ინიციატორი

გ.ა) ნორმატიული აქტის პროექტის ავტორია ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია.